

პროფესიული საბანმანათლებლო პროგრამა

I. საბანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ბალეტის ხელოვნება

II. პროფესიული ბანათლების საფეხური: V საფეხური.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქორეოგრაფ-რეპეტიტორის V საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა:

პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი. აქედან კრედიტების საერთო რაოდენობის 60% (72 კრედიტი) განკუთვნილია სასწავლო-თეორიული კურსების კომპონენტისთვის, ხოლო 40% (48 კრედიტი) – სასწავლო-შემოქმედებითი პრაქტიკის კომპონენტისთვის. პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიულ სტანდარტთან.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა კონსერვატორიის მიერ დადგენილი შემოქმედებითი ტურის გავლა.

VI. საბანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგის პროფესიონალი ქორეოგრაფის აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს საბალეტო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი საშემსრულებლო-შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას, რაც კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას გაუწიოს ასისტენტობა დამდგმელ რეჟისორს, იმუშაოს სხვადასხვა ასაკის მოცეკვავეებთან,

დირიჟორთან, მხატვარ-სცენოგრაფთან, განათების ოსტატთან და თეატრის თუ კონკრეტული სპექტაკლის სხვა დამხმარე სტრუქტურებთან; გადმოიტანოს, აღადგინოს ან დადგას საბალეტო სპექტაკლი საკუთარი რედაქციით.

VII. სწავლის შედეგები:

ცოდნა და
გაცნობიერება

აქვს ქორეოგრაფ-რეპეტიტორისათვის აუცილებელი თეორიული საკითხების ცოდნა და საშემსრულებლო - შემოქმედებითი პრაქტიკულ-პროფესიული გამოცდილება. იცნობს მსოფლიო ხალხთა ქორეოგრაფიულ ტრადიციებს, გააზრებული და გაანალიზებული აქვს თანამედროვე მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევები, გაცნობიერებული აქვს ტრადიციული და თანამედროვე ქორეოგრაფიას შორის პრინციპული განსხვავება, მისი სტილის, სტრუქტურისა და ჰარმონიის პრინციპები. ფლობს ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართო სპექტრს. ფლობს და გაცნობიერებული აქვს მხატვრულ-ესთეტიკური ხედვა და შეფასების უნარი. აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობები.

ცოდნის
პრაქტიკაში
გამოყენების
უნარი

გამომუშავებული აქვს ქორეოგრაფ-რეპეტიტორის შესაბამისი მაღალპროფესიული უნარი. სრულყოფილად ფლობს მსოფლიო, განსაკუთრებით კლასიკური ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროებს, ფლობს ყველა იმ უნარ-ჩვევას, რომელიც უზრუნველყოფს მის შემდგომ მუშაობას ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. მას აქვს სრულყოფილი ცოდნა, რომელსაც იგი გამოიყენებს მომავალ შემოქმედებით მუშაობაში. ეს ცოდნა ემყარება ქართულ ეროვნულ საწყისებს. ფლობს მრავალწლიან ქართულ ქორეოგრაფიულ შემოქმედებას, ქართული ცეკვის ტრადიციებს, რომელიც შექმნილია ქართული ბუნებისა და ხასიათის, უპირველესად, ქართული ლირიკისა და საცეკვაო მანერების, ქართული მელოდიისა და ჰარმონიული ენის გათვალისწინებით. ამ ფართო სპექტრის საშუალებით ის შეძლებს წამოჭრილი პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტას. იცნობს შემოქმედებითი პედაგოგიკის საფუძვლებს. შესაბამისად, შეუძლია განახორციელოს სწავლება შესაბამისი პროფესიული განათლების ქვედა საფეხურებზე.

გააჩნია შემოქმედებითი პროექტის რეალიზების (პროგრამის მერჩევიდან - პრაქტიკულ შესრულებამდე) მტკიცე უნარ-ჩვევები. შეუძლია ინდივიდუალური მიდგომა კონკრეტულ ჯგუფის მიმართ კოლექტივის წევრების მონაცემებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციებისა თუ დასკვნების გაკეთება. შეცდომების შესწორება სტანდარტული მეთოდების გამოყენებით.

დასკვნის
უნარი

ინტელექტუალური, პრაქტიკული და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით შეუძლია პრობლემების ამოცნობა და სათანადო მონაცემთა იდენტიფიცირება. სტანდარტული მეთოდების ანალიზის მეშვეობით კი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, რაც მას დაეხმარება როგორც პირადი შემოქმედებითი უნარების სრულყოფაში, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის საქმეში. იკვლევს და ვიზუალურად გამოხატავს საკუთარ თავს და ინდივიდუალობას, როგორც მოცეკვავე-ხელოვანი. ქორეოგრაფიული კონცეფციები მოძრაობაში გადააქვს.

კომუნიკაციის
უნარი

შეუძლია პროფესიულ სფეროში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, შეუძლია პროფესიული იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრული გადაცემა როგორც დარგის პროფესიონალებისათვის, ისე არაპროფესიონალებისათვის. შეუძლია ერთ-ერთ უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა. გეგმავს საკუთარ სამუშაოს, მუშაობის პროცესში შეუძლია საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, საკუთარი აზრის დასაბუთება, გამოცდილების გაზიარება. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო ჯგუფში. მოცეკვავეს ეფექტური, შედეგიანი ურთიერთობის, მორგებისა და საკუთარ ქმედებების დასაბუთების უნარი აქვს ამა თუ იმ პროფესიულ კონტექსტში, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით. საცეკვაო ხელოვნების, ან დადგმის არსისა და ჩანაფიქრის შესახებ თავისუფლად საუბრობს კოლეგებთან, ან ამ სფეროსთან დაკავშირებულ პირებთან. ცეკვის შესახებ შეუძლია საუბარი როგორც დაინტერესებულ მხარეებთან, ისე არასპეციალისტებთან. შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, ცეკვის ისტორიული წარმოშობის, ხასიათის, ელემენტების და ნახაზის ზუსტი ახსნა და ჩვენება, კოსტუმის აღწერა, საკუთარი იდეების გადაცემა. სამუშაო პროცესში ფართოდ იყენებს ინტერნეტს, ვიდეო, და მუსიკალური თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. კარგად ფლობს სპეციალურ ტერმინოლოგიას ფრანგულ ენაზე. შეუძლია უცხოურ ენაზე ინფორმაციის წაკითხვა, დამუშავება, გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.

სწავლის უნარი

დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის – შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, რეპერტუარის შერჩევა, სამუშაო პროცესში აუცილებლად იყენებს საგნის პროგრამასა და მეთოდურ ლიტერატურას, უცხოურ ენაზეც კი. შეუძლია თვითგანვითარების მიზნით საკუთარი სწავლების პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. შეუძლია სწავლების განხორციელება, შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარების ეფექტურად გამოყენება სწავლების მიზნით.

ღირებულებები შეუძლია თვითგანვითარების მიზნით საკუთარი სწავლების პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. სასწავლო პროცესის დახვეწის მიზნით, შეუძლია აუცილებლობით გამოწვეული გამოკითხვებისა და ინტერაქტივების წარმოება. სრულყოფილ, მრავალმხრივ განვითარებულ მაღალკვალიფიციურ ქორეოგრაფ-რეპეტიტორს შეუძლია შემოქმედებითი პროექტის შემუშავება და განხორციელება ჯგუფთან ერთად. პროფესიულ კონტექსტში პასუხისმგებელია სხვების საქმიანობაზე. აფასებს კოლეგებისა თუ შეგირდების უნარებსა და პროფესიონალიზმს და ხელს უწყობს მათ წარმოჩენასა და შემდგომ განვითარებას. საკუთარი გამოცდილებით და ცოდნით შეუძლია ერთობლივ პროდუქციაში ან პროცესში აქტიური წვლილის შეტანა. საკუთარი საქმის და ფუნქციის ცოდნით შესამჩნევი წვლილი შეაქვს თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში, რომელიც მხატვრული პროდუქციის რეალიზაციისათვისაა აუცილებელი. პასუხისმგებლობით ეკიდება და აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი: პედაგოგიური ეთიკა, ორგანიზაციული ნიჭი, შრომისმოყვარეობა, საგნის ღრმა ცოდნა - და უზიარებს სხვებს.

VIII. სწავლის შედეგების რუქა:

სასწავლო კურსები/მოდულები		კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკ. გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სპეც. მოდული: ქორეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
2	საბალეტო მექანიკის რეპერტუარი	X	X	X	X	X	
3	ბალეტის მუს. დრამატურგია	X	X	X		X	
4	მუს. ლიტერატურა	X	X	X		X	
5	მუს. ნაწარმოების ანალიზი	X	X	X		X	
6	ფორტეპიანოზე დაკვრის პრაქტ. კურსი	X	X		X	X	
7	სცენოგრაფია და კოსტიუმი	X	X				
8	საკრავთმცოდნეობა (თეორიული და პრაქტ. კურსი)	X	X			X	
9	თეატრის ტექნოლოგ. საფუძვლები	X	X				
10	არტ. მენეჯმენტი	X	X		X	X	X

11	უცხო ენა	X	X		X		
12	ქართული ენა	X	X		X		
13	ცეკვა	X	X		X		X

IX. სასწავლო გეგმა:

№	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
		I	II	III	IV
		სემესტრი	სემესტრი	სემესტრი	სემესტრი
		კრედიტი	კრედიტი	კრედიტი	კრედიტი
სასწავლო-თეორიული კურსების კომპონენტი					
1	სპეციალობის მოდული (ქორეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა)	8(1+7)	8(1+7)	8(1+7)	10(2+8)
2	საბალეტო მემკვიდრეობა და რეპერტუარი	6	6	6	6
3	ბალეტის მუს. დრამატურგია		3	3	
4	მუს. ლიტერატურა	3	3		
5	მუს. ნაწარმოების ანალიზი	3	3		
6	სცენოგრაფია და კოსტიუმი			3	3
7	საკრავთმცოდნეობა				3
8	თეატრის ტექნოლოგ. საფუძვლები			2	2
9	არტ. მენეჯმენტი				2
10	უცხო ენა	2	2	2	2
11	ქართული ენა	2			
სასწავლო-პრაქტიკული კურსების კომპონენტი					
1	ფორტეპიანოზე დაკრის პრაქტ.კურსი	3	3	3	3
2	ცეკვა	1			
3	არჩევითი საგნები (სასწავლო-პრაქტიკული კურსები)	2	2	2	
	სულ კრედიტები	30	30	29	31

აღნიშნულ მოდულში ინტეგრირებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები, რომელთაგან I, II, III სემესტრებში სასწავლო-თეორიულ კომპონენტს ეკუთვნის 1 კრედიტი, სასწავლო-პრაქტიკულს – 7 კრედიტი. IV სემესტრში სასწავლო-თეორიულ კომპონენტს ეკუთვნის 2 კრედიტი, სასწავლო-პრაქტიკულს – 8 კრედიტი. მოლიანოდაში სპეციალობის მოდულიდან 5 კრედიტი ეკუთვნის სასწავლო-თეორიულ კომპონენტს, 29 კრედიტი - სასწავლო-პრაქტიკულს.

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)მოიცავს:

- ინდივიდუალურ მეცადინეობებს
- სასემინარო მეცადინეობებს
- ლექციაზე დასწრებას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- საკონცერტო გამოსვლებს
- სტუდიურ-რეპეტიციულ მეცადინეობებს
- შემოქმედებითი პროექტების მომზადებას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იხ. კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 9. **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.**

XII. სწავლების მეთოდები: პროფესიულ პროგრამაზე სწავლების პროცესში შემუშავებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ვერბალური, პრაქტიკული, წერითი მუშაობის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, და სხვა მეთოდები.

XIII. ინფორმაცია საბანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღამიანური რესურსის შესახებ.

№	მოდულის/კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1	სპეციალობის მოდული (ქორეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა)	მარინა ალექსიძე	მოწვეული სპეციალისტი, ქორეოგრაფი
2	საბალეტო მემკვიდრეობა და რეპერტუარი	მარინა ალექსიძე	მოწვეული სპეციალისტი, ქორეოგრაფი
3	ბალეტის მუს. დრამატურგია	ნანა ლორია	მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
4	მუს. ლიტერატურა	ნინო ქორიძე	მუსიკალურ-ისტორიული დისციპლინების მასწავლებელი
5	მუს. ნაწარმოების ანალიზი	მარინა ბოჭოიძე	მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების მასწავლებელი
6	ფორტეპიანოზე დაკრის პრაქტ. კურსი	ამირან გირგვლიანი	საერთო ფორტეპიანოს მიმართულების ასოც. პროფესორი
7	სცენოგრაფია და კოსტიუმი	აივენგო ჭელიძე	მოწვეული სპეციალისტი, სცენოგრაფი

8	საკრავთმცოდნეობა (თეორიული და პრაქტ. კურსი)	მაკა ვირსალაძე	კომპოზიციის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
9	თეატრის ტექნოლოგ. საფუძვლები	აივენგო ჭელიძე	მოწვეული სპეციალისტი, სცენოგრაფი
10	არტ. მენეჯმენტი	თეონა კახიძე	ასოც. პროფესორი, სოციოლოგი.
11	უცხო ენა	ლია ნინიაშვილი.	ინგლისური ენის მასწავლებელი
12	ქართული ენა	თინა თურქია	ქართული ენის მასწავლებელი
13	ცეკვა	მარინა ალექსიძე	მოწვეული სპეციალისტი, ქორეოგრაფი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის კონსერვატორია უზრუნველყოფს სტუდენტებს აუცილებელი მატერიალური რესურსებით:

- საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები
- მუსიკალური ინსტრუმენტები
- ჩამწერი, გადამღები და მოსასმენი აპარატურა
- ბიბლიოთეკა
- ფონოტეკა
- ვიდეო, DVD, აუდიო აპარატურა.

XV. სწავლის გაბრძნების შესაძლებლობა

V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ბალეტის ხელოვნება” კურსდამთავრებულს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცეკვის მასწავლებლად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად შეუძლია გაიაროს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა.